



საქართველოს მთავრობა ვალდებულია, განასახლოს სოფლის მაცხოვრებლები, რომლებიც სასიკვდილო მეწყერის რისკის ქვეშ იმყოფებიან

გამოქვეყნების თარიღი: 2017 წლის 15 დეკემბერი



ვეძათხევის მაცხოვრებელი საკუთარ სახლს ათვალიერებს

შორეული სოფელი ვეძათხევი, რომელიც მდინარის თავზე ციცაბო მთის ფერდობზე არის გამოკიდებული, ნამდვილად თვალწარმტაცად ჟღერს. თუმცა, მას შემდეგ, რაც 2010 წელს მეწყერს რამოდენიმე ადამიანი ემსხვერპლა, საქართველოს მთავრობამ იქაური მაცხოვრებლების უმრავლესობის ახალი საცხოვრებელი დაკმაყოფილების გადაწყვეტილება მიიღო. სოფელში დარჩენა მხოლოდ ვეფხია არდოტელს, ნაბისი ზვიადაურსა და ლია ზვიადაურს უწევთ. ისინი ყოველდღიურად ახალი მეწყერის მოლოდინში ცხოვრობენ, რომელმაც შესაძლოა მათი სიცოცხლე შეიწიროს. მიუხედავად ამისა, მთავრობა უარს აცხადებს აღნიშნული პირების

უსაფრთხო ადგილას განსახლებაზე. 2017 წლის დეკემბერში [“ადამიანის უფლება ევროპულმა ცენტრმა”](#) (EHRAC) და [“ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა”](#) (თბილისი) ვეძათხევიში დარჩენილი სამი მაცხოვრებლის სახელით ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს საჩივრით მიმართა.

რატომ დატოვა საქართველოს მთავრობამ ნაბისი, ვეფხია და ლია სოფელში?

ნაბისი 74 წლის ქალია, რომელიც ვეძათხევიში ცხოვრობს მარტო, მას შემდეგ, რაც მეწყერმა მისი შვილისა და შვილიშვილის სიცოცხლე შეიწირა. მას ერთი შვილი დარჩა, რომელიც მოშორებით მდებარე მთიან სოფელში ცხოვრობს. ვეფხიამ და ლიამ თავიანთი შვილები საცხოვრებლად გააგზავნეს ლიას დასთან, დაბლობზე მდებარე სოფელ ჟინვალში. იქ ბავშვები სკოლაში დადიან, ვინაიდან ვეძათხევიში სკოლები აღარ დარჩა. მთავრობამ ნაბისის, ვეფხიასა და ლიას ალტერნატიულ საცხოვრებელზე უარი უთხრა იმ მოტივით, რომ მათ სხვა სოფლებში ნათესავებთან შეუძლიათ იცხოვრონ.

რამდენად რეალურია საფრთხე?

ვეძათხევი მეწყერსაშიშ ზონას წარმოადგენს, რაც კარგად არის დოკუმენტირებული საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ. სწორედ აღნიშნული მიზეზის გამო, სამინისტრომ პრიორიტეტულად განასახლა სოფელში მაცხოვრებელი 11 ოჯახიდან რვა. არსებობს საშიშროება იმისა, რომ მეწყერმა მთლიანად შთანთქას სოფელი, გაანადგუროს სახლები და დარჩენილი მაცხოვრებლების სიცოცხლე შეიწიროს. მდინარის ადიდების პერიოდი გვიან შემოდგომაზე იწყება და გრძელდება ზაფხულამდე, რის შედეგადაც



ვემათხევეში მიმავალი ერთადერთი გზა სახიფათოდ ტალახიანი ხდება, როგორც ფეხით მოსიარულეებისათვის, ისე მანქანებისათვის. თავად სოფელში აფთიაქი არ არსებობს და მაცხოვრებლებს გადაუდებელ სამედიცინო სერვისებზე ხელი არ მიუწვდებათ. იმ შემთხვევაში თუ, მაგალითად, წელიწადის აღნიშნულ დროს სოფელში სასწრაფო დახმარების მანქანა გამოიძახეს, მანქანას სამი კილომეტრის მოშორებით მოუწევს გაჩერება, ხოლო დაშავებულ ან შეუძლოდ მყოფ ადამიანს - მაგალითად, ნაბისის - მანქანამდე ფეხით ან ხელში აყვანილს მოუწევს მისვლა.

რა უნდა მოემოძმედებინა საქართველოს მთავრობას?



სახლი ვემათხევეში (EMC)

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შეტანილ საჩივარში ჩვენ ვაცხადებთ, რომ საქართველოს მთავრობას უნდა გადაედგა ადეკვატური ნაბიჯები საკუთარი მოქალაქეების სიცოცხლის დასაცავად, რომ მას ეკისრებოდა უამინდობითა და გარემო პირობებით გამოწვეული რისკების შემსუბუქების მოვალეობა. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ სახელმწიფომ არ განახორციელა ყველა ის შესაძლო ღონისძიება, რითაც თავიდან იქნებოდა აცილებული ის საფრთხე, რომელიც სოფლის მაცხოვრებელთა სიცოცხლეს ემუქრება. აღნიშნული წარმოადგენს სიცოცხლის უფლებით

გათვალისწინებული პოზიტიური მოვალეობების დარღვევას (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი). სახელმწიფოს უარი აღნიშნული ორი ოჯახის ვემათხევის დანარჩენი მაცხოვრებლების მსგავსად განსახლებაზე იმ მოტივით, რომ მათ სხვა სოფლებში ნათესავები ჰყავდათ არის უკანონო. შედეგად, ვეფხია და ლია იძულებულები არიან, იცხოვრონ თავიანთი შვილებისგან შორს, რათა მათ ჰქონდეთ განათლების გაგრძელების შესაძლებლობა. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ აღნიშნული წარმოადგენს პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევას (კონვენციის მე-8 მუხლი). და ბოლოს, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ მომჩივნებს ხელი არ მიუწვდებათ სამართლებრივი დაცვის ეფექტურ ადგილობრივ საშუალებაზე (კონვენციის მე-13 მუხლი).

ევროპის სასამართლოს მივმართეთ თხოვნით, პრიორიტეტი მიანიჭოს ჩვენს საჩივარს, ვინაიდან ოჯახებს კვლავ ემუქრებათ საფრთხე, რამდენადაც ისინი აგრძელებენ სოფელში ცხოვრებას.